FRIEDRICH EBERT STIFTUNG

Georgia Office

თბილისი, 9 სექტემბერი 2019

მოგესალმებით,

ჩვენთვის დიდი პატივია, მოგიწვიოთ საქართველოში მინიმალური ხელფასის საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ფრიდრიხ ებერტის ფონდის ორგანიზებით თბილისში, სასტუმროში "რუმსი", ამა წლის 8 ოქტომბერს.

მოგეხსენებათ, რომ ყოველთვიური მინიმალური ხელფასი საქართველოში ძალიან დაბალია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. 1999 წელს მინიმალური ხელფასის აღნიშნული ზღვრის დადგენის შემდეგ მისი შესწორება აღარ მომხდარა და მას შემდეგ არც პოლიტიკური დღის წესრიგში დამდგარა მსჯელობა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ.

კონფერენციის ორგანიზატორები ვიმედოვნებთ, რომ ფართო მსჯელობა და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი სხვა ქვეყნების გამოცდილების განხილვა ხელს შეუწყობს პრობლემის უკეთ გააზრებასა და დასახული ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობების ძიებას.

კონფერენცია იწვევს პოლიტიკოსებს, ანალიტიკოსებს, ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს გერმანიიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, ჩრდილოეთ მაკედონიიდან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დიპლომატიური მისიებიდან.

პატივს დაგვდებთ, თუ დაესწრებით აღნიშნულ კონფერენციას და გაგვიზიარებთ თქვენს მოსაზრებებს საქართველოში მინიმალური ხელფასის შესახებ.

კონფერენციის სამუშაო ენა - ქართული, ინგლისური. კონფერენციის გახსნა - 10:00 საათზე.

ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული საკითხი დაგაინტერესებთ და გამოგვეხმაურებით 20 სექტემბრამდე მისამართზე: event@fesgeo.ge

თანდართულია დღის წესრიგის პროექტი.

პატივისცემით,

ფელიქს ჰეტი

სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის

დირექტორი

ია თიკანაძე

საქართველოს წარმომადგენლობის

დირექტორი

Friedrich-Ebert-Stiftung
Georgia Office
Apt. 7, Nino Ramishvili str. 4
0179 Tbilisi, Georgia

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
წარმომადგენლობა საქართველოში
ნინო რამიშვილის ქ. 4, ბ. 7
0179 თბილისი, საქართველო

Phone: (+995 32) 225 07 28
Fax: (+995 32) 222 67 27
E-mail: stiftung@fesgeo.ge
http:// fes-caucasus.org